# გუბერნატორის ადმინისტრაციაში სამხარეო–საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა

12 აპრილი 2016

შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციის სააქტო დარბაზში სამხარეო–საკონსულტაციო სხდომის ფორმატში მორიგი შეხვედრა გაიმართა.შეხვედრას შიდა ქართლის მხარეში რწმუნებული–გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი იოსებ ოქრომელიძე უძღვებოდა. საკონსულტაციო საბჭოზე იმყოფებოდნენ პირველი პირები შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებიდან. საუბარი 2016 წელს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაფინანსებული პროექტების განხილვას შეეხო. შეხვედრაზე იმსჯელეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებითაც. გასული წლის მსგავსად 2016 წელს რეგიონში ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა ძირითადად ინფრასტრუქტურული პრობლემების მოწესრიგებას მოხმარდება.